ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №67 სხდომის ოქმი

2012 წლის 26 ნოემბერი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. სადოქტორო პროგრამების სალექციო ფორმატის რეგულირება;
2. აკადემიური წერის სალექციო კურსების ფორმატის დარეგულირება;
3. 2008 წელს და მანამდე მიღებული დოქტორანტების კრედიტების დაგროვების წესი;
4. უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტების 2013 წლის ბიუჯეტების დამტკიცება;
5. აკადემიური ხარისხის არმქონე ლექტორების მოწვევის წესის შემუშავება;
6. რევაზ სოლომონიას ინიციატივა ფონდის შექმნის შესახებ;
7. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული ცენტრის ,,არტ-ჰოლის“ სასერტიფიკატო პროგრამების „დუბლი 3, დუბლი 4, დუბლი 5, დუბლი 6“ განხილვა და დამტკიცება;
8. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის სასერტიფიკატო პროგრამის „კინო-ტელერეჟისორის თანაშემწე“ განხილვა და დამტკიცება;
9. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2012 წლის 26 ნოემბრის N03-18238/12 წარდგინების განხილვა სატელევიზო სასწავლო ცენტრის პროფესიული პროგრამის გამო 2012-2013 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით;
10. კავკასიის კვლევის ცენტრის შექმნის საკითხის განხილვა.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მაია როგავა - სხდომის მდივანი;
3. მარინე ჩხიკვიშვილი;
4. მიხეილ ელაშვილი.

2012 წლის 26 ნოემბრის აკადემიური საბჭოს სხდომაზე დადგინდა:

1. **დამტკიცდეს** - აიკრძალოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტების მიერ სადოქტორო პროგრამაში ლექციებისა და სემინარების კითხვა;

2. **დამტკიცდეს** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პროგრამაში განსაზღვრულ აკადემიური წერის ლექტორებს თავად უნდა ჰქონდეთ აკადემიური წერის გამოცდილება და ამის დასაბუთება უნდა შეიძლებოდეს დოკუმენტურად, კერძოდ: ფაკულტეტის დეკანატებში უნდა ინახებოდეს ამის დამადასტურებელი საბუთები. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაევალოთ ფაკულტეტებს, უზრუნველყონ აკადემიური წერის ლექტორების ამ პრინციპით შერჩევა;
3. **დადგინდეს-** *2008 წელს და მანამდე მიღებული დოქტორანტებისათვის აღდგეს კრედიტების დაგროვების წესი, რომელიც არსებობდა მათი მიღებისას - 2008 წლის ჩათვლით;*
4. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას 2013 წლისთვის ინსტიტუტების დაფინანსების ძირითადი პარამეტრები, დაევალოს ადმინისტრაციას, უზრუნველყოს აღნიშნული პარამეტრების ინსტიტუტებისათვის მიწოდება შესაბამისი ბიუჯეტის მოსამზადებლად;
5. **დამტკიცდეს** - აკადემიურ პროგრამაში მოსაწვევ აკადემიური ხარისხის არმქონე ინდივიდს უნდა ჰქონდეს სალექციო პროგრამის დარგში ან მიმართულებაში აქტუალური გამოცდილება - უნდა იყოს საფუძვლიანი გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი და ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს დეკანატში. სხვა შემთხვევაში აკადემიური ხარისხის არმქონე ინდივიდის მოწვევა აკადემიურ პროგრამაში ლექციების წასაკითხად დაუშვებელია.
6. **დადგინდეს** - დაევალოს იურიდიულ სამსახურს, გაუწიოს კონსულტაციები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სრულ პროფესორ, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორ რევაზ (ბაჩო) სოლომონიას სტუდენტთა დახმარების ფონდის შექმნასთან დაკავშირებით;
7. ***დამტკიცდეს*** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული ტელე-კინო სამსახიობო ხელოვნების ინკლუზიური სწავლების საყმაწვილო ცენტრი ,,ართ ჰოლის" სასერტიფიკატო პროგრამები „დუბლი 3, დუბლი 4, დუბლი 5, დუბლი 6" უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით;

8. ***დამტკიცდეს*** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის სასერტიფიკატო პროგრამა „კინო-ტელერეჟისორის თანაშემწე“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შენიშვნების გათვალისწინებით;
9. ***დამტკიცდეს - შეტანილ იქნას ცვლილება 2012-2013 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში*** ვინაიდან 14 ივნისს აკადემიური საბჭოს N62 სხდომაზე დამტკიცდა უნივერსიტეტის 2012–2013 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი. თუმცა მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე ,,ჟურნალისტიკა“ პროგრამაზე მიღება გამოცხადდა მოგვიანებით, იმისათვის რომ ამ პროგრამაზე ჩარიცხულებმა არ დაკარგონ სასწავლო სემესტრი სასურველია დადგინდეს შემდეგი ინდივიდუალური კალენდარი სატელევიზიო სასწავლო ცენტრის დირექტორის წარდგინების შესაბამისად:შემოდგომის სემესტრი:დაწყება 27.11.2012–დან, დამთავრება 22.03.2013–ჩათვლით, საშობაო არდადეგები– 29.12.2012–დან –13.01.2013–ჩათვლით, საგამოცდო პერიოდი– 25.03.2013–დან – 06.04.2013–ჩათვლით. გაზაფხულის სემესტრი: დაწყება– 08.04.2013–დან, დამთავრება–31.07.2013–ჩათვლით, საგამოცდო პერიოდი 22.07.2013–დან –31.07.2013–ჩათვლით.აკადემიურმა საბჭომ გადაწყვიტა: დადგინეს მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა ,,ჟურნალისტიკისათვის“ ინდივიდუალური აკადემიური კალენდარი:შემოდგომის სემესტრი: დაწყება 27.11.2012–დან;
10. ***დამტკიცდეს*** - შეიქმნას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე „კავკასიის კვლევის ცენტრი“ და დაუმტკიცდესთ დებულება თანდართული სახით. ცენტრის დირექტორად დანიშნულ იქნას გიორგი ნიკოლაძე.

საბჭოს თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

საბჭოს მდივანი

მაია როგავა